ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1519135

ნომერი: AR1253538

თარიღი : 26.09.2014

გაცემის თარიღი : 01.10.2014

გაცნობის თარიღი : 01.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ვახუშტის ხიდის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯიმშერი მეფარიშვილი პ/ნ 01030033882
- თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არქიტექტურის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. არქიტექტურის სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურს, მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე შესაძლებლად არ მიაჩნია გასცეს დადებითი რეკომენდაცია ვახუშტის ხიდის მიმდებარედ, წარმოდგენილ არეალში საპროექტო კონსტრუქციის მოწყობაზე. შესაძლებელია გამოინახოს მისი განთავსების სხვა ისეთი ადგილი, რომლის განთავსების შემთხვევაშიც ხელი არ შეეშლება ტროტუარზე ფეხითმოსიარულეთა თავისუფლად გადაადგილებას, გარდა ამისა გასათვალისწინებელი იქნება, რომ  არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე/კონსტრუქციაზე შესრულებული წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და  რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული, ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში ახალი განაცხადის დარეგისტრირებისას, საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დააზუსტოთ ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა ფუნქციური დატვირთვის (საინფორმაციო, სარეკლამო და ა.შ) მატარებელია საპროექტო კონსტრუქცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,  სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას  დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა აღნიშნულ ტერიტორიაზე, წარმოდგენილი სახით სარეკლამო კონსტრუქციის განთავსებასთან დაკავშირებით.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge